# საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 2427 2018 წლის 25 დეკემბერი ქ. თბილისი

**სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შესყიდული მედიკამენტ(ებ)ის ადმინისტრაციული ორგანოებისა და „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაკონტრაქტებული „სოფლის ექიმებისათვის“ გადაცემის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიეცეს უფლება, შესაბამისი წლის ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შესყიდული მედიკამენტები (0.5 მგ/მლ 2 მლ ბუდესონიდი და 2.5 მგ/ 0.5 მლ ალბუტეროლი), მოთხოვნის გათვალისწინებით, უსასყიდლოდ გადასცეს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებსა და „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაკონტრაქტებულ „სოფლის ექიმებს“, პაციენტებისათვის უსასყიდლო მოხმარებისთვის გადასაცემად.

პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე